[...]ტამბა და რედაქცია
[ტფ]ილისი, სასახლის ქ.,
[...]თ.-აზნაურთ ქარვასლა
[ხელ]ისმომწერნი გაზეთის დახაკვე-
[ლე]ბიმართავენ რედაქციას დილის
[...] საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზია ცხ.
[და]მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.

[...]სპირ მოლაპარაკება რედაქ-
[ცი]ასთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363


# ცნობის ფურცელი


ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთი
თვით 60 კაპ
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 339


[დღე]სასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა შაბათს, 29 მაისს.

## წლის დამლევამდე

[გა]ზეთი „ცნობის ფურცელი“

ეღირება 4 მან.

## წლიური საერთო კრება

[ქ]ართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებლის საზოგა-[დ]ოების“ წევრთა კრება დანიშნულია 29 მაისს, საღამოს 7 საათზე, ტფი[ლი]სის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში განსახილველად შემდეგი საგნებისა.

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წელს.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ
3) სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ გასავლისა 1898 [წ]ლისათვის.
4) მოხსენება განსვენებულის ალ. როინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.
5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.
6) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა

## ახალი წიგნი

[და]იბეჭდა და გასაყიდათ გამოვიდა იოსებ იმედაშვილის გამოცემა, № 12,

რუსეთის მგოსანი

## ა. ს. პუშკინი

მისი ცხოვრება და ლექსები
(1799—ასსწლოვანი—1899)

შედგენილი ი. წინამძღვარისაგან. წიგნს დართული აქვს პუშკი-[ნი]ს სურათი (შიგნით და ყდაზე), მოთავსებულია შიგ: ა. ს. პუშკინი, [ბ]იოგრაფიული წერილი), წვრილი ლექსები, მებადური და ოქროს [თევ]ზი, და სხ. შეიცავს 64 გვ. და ღირს 10 კაპ.

ვინც ნაღდათ იყიდის ათ წიგნზე მეტს, მანეთზე 20 % დაიკლ-[დე]ბა. გაიგზავნება ფას-დადებითაც. ჩვენის ხარჯითაც მსურველთ მოგვ-[მა]რთონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Книжная торговля І З. Име[да]швили. ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, გიორგიევის ქუჩაზე. (5—3)

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი




## ქეფირი და კუმისი

ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებ-ობს 1887 წ.



მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილ-დოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ ი. კორონსასთან ლორის-მელიქოვის ქუ-ჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგა-დოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.
(100—23)
ი. კორონსა.

დაიბეჭდა და გაისყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცე-ლებლის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

თხზულებანი

## ა. ს. პუშკინისა

ავტორის პორტრეტით და ბიოგ-რაფიით
ფასი 50 კაპ.

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავად-მყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფ-ნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურ-გო, თვალისა და დედათა ავადმყო-ფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საა-თამდე. შინაგან და ნერვების ავად მყოფობას სწამლობს ს. გ. თო-ფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი. დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. ქობანი. თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. მარჯანოვი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის. სამკურნალო დირექტორი ს. გ. თო-ფურია

Лѣчебница В. С. Топуріа въ Кутаисѣ

## ახალი ამბავი

*** პუშკინის დღესასწაული. გუ-შინ დილის ათ საათიდან სასახლის ქუჩას შეეტყო რაღაც მოძრაობა ხალ-ხი კარგა ბლომად შეიკრიბა ტრო-ტუარებზე, მაგრამ უეცრივ მოი-ღრუბლა და წვიმა წამოვიდა. მაგ-რამ საბედნიეროდ ნახევარი საათის შემდეგ გამოიდარა. თერთმეტ სა-ათზედ დენა დაიწყო ალექსანდ-რეს ბაღში სხვა-და-სხვა სასწავლე-ბელთა შეგირდებმა თავიანთის მუსიკით. მთელი ალექსანდ-რეს ბაღი გაჭედილი იყო მოზარ-დის თაობით ორივე სქესისა. სწო-რედ პირველ საათზედ პანაშვიდი იქმნა გარდახდილი და მერე ალე-ქსანდრეს ბაღიდან სხვა-და-სხვა დეპუტაციები გაემგზავრნენ გო-ლოვინის პროსპექტით, სასახლის ქუჩით, აქედან შეუხვიეს ერევნის მოედანზე და შევიდნენ პუშკინის ბაღში სადაც ძეგლის წინ ქუდს იხდიდნენ და გვირგვინით ამკობდენ. დეპუტატები შემდეგის რიგობით მიდიოდნენ:

1 ჯგუფი დეპუტაციები

1. სლავიანსკის ხორომ გაიარა გაჩერდა პუშკინის ძეგლთან და დეპუტაციების მიერ ძეგლის გვირ-გვინებით შემკობის დროს უგალო-ბეს პუშკინს „დიდება“.
2. კავკასიის ძველმა მეომრებმა სამსახურიდან გადამდგარმა გენერ-ლებმა და აფიცრებმა გაატარეს კავკასიის ჯარის ფარი.
3. ქალაქის მოურავი, ქალაქისა და წოდებათა წარმომადგენელნი.
4. მწერლობის წარმომადგენელნი.
5. სახაზინო თეატრის გამგეობა.
6. ბ. სოლოვიოვის დრამ. დასი.
7. არტისტთა საზოგადოება.
8. თეატრის „გართობა და სარ-გებლობის“ დასი
9. ქართ. დრამ. დასი.
10. სომეხ. დრამ. დასი.
11. კავკასიის კაზმულ „ხელოვ-ნებათა დამხ. საზოგადოება“.
12. სახალხო კითხ. კომ.
13. „ქართ. შორის წერა-კითხ გამ. საზოგადოება“.
14. სომხურ წიგნების გამომც. საზოგადოება.
12. კავკასიის საიმპ. სამკურნა-ლო საზოგადოება.
16. კავკასის საიმპ. სატეხნიკო საზოგადოება.
17. ტფილ. ტეხნოლოგთა სა-ზოგადოება.
18. „ტფილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“.
19. ფოსტა-ტელეგრაფის ოლ-ქის წარმომადგენელნი.
20. „ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოება“.
21. „გაჭირვებულ გადმოსახლე-ბულთა დამხმარებელი საზოგა-დოება“.
22. „ტფილისის საურთიერთო სამეურნეო კრედიტის საზოგადოე-ბის“ გამგეობა
23 მე-2 საკვირაო სკოლის მა-სწავლებელ ქალთა დეპუტაცია.

24. საფრანგეთის საგეოგრაფიო საზოგადოების დეპუტაცია და სხ...

II. ჯგუფი ქალთა გიმნაზიები.

1. 1 ლი დედათა გიმნაზია პირველ სავაჟო გიმნაზიის ორკესტრით.
2. მე 2 დედათა გიმნაზია მეორე სავაჟო გიმნაზიის ორკესტრით.
3. მე-3 დედათა გიმნაზია მესამე სავაჟო გიმნაზიის ორკესტრით,

III ჯგუფი. ქალთა სკოლები.

გაიარეს პირველ საქალაქო სასწავლებლის ორკესტრით.

1. კუკიისა.
2. სოფიისა.
3 შუაბაზრისა.
4. ავლაბრისა (ოთხივე სასწავლებელი საქველ-მოქმედო საზოგადოებისა)
5. რკინის გზისა.
6. მოლნინისა.
7. ნარაშენისა
8. თანდოევისა.

IV ჯგუფი. სხვა-და სხვა სკოლები.

გაიარეს რკინის გზის სასწავლებლის ორკესტრით.

1. ლოტრანგთა სკოლა.
2. კათოლიკეთა.
3. ალექსანდრეს სახლობის თავშესაფარი.
4. ნადეჟდას სახლობის თავშესაფარი.
5. კნ. არღუთინსკი-დოლგორუკის კერძო პანსიონი.
6. ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოების პირველი საბავშვო სახლი.
7 მალაკანთა პირველი სკოლა.
8. მალაკანთა მეორე სკოლა.
9. შამხორის სკოლა.
10. ეჩმიაძინისა.
11. ჯიგრაშენისა.
12. სუბრ გეურქისა.
13. კუკია-ნორაშენისა.
14. სურფ კარაპეტისა.
15. კაიდანოვისა
16. პირველი საკვირაო სკოლა.

V ჯგუფი. ქალაქის ხარჯზედ დაარსებული სკოლები

გაიარეს მურაშკოს ბავშვთა ორკესტრით.

1. ავლაბრას 1-ლი სახალხო სკოლა.
2. ავლაბრის მეორე სკოლა.
3. ავლაბრის დედათა სკოლა.
4. ვერისა 1-ლი.
5. ვერისა მე-2.
6. მამა-დავითისა.
7. კუკიისა 1-ლი.
8. კუკიისა მე-2.
9. კუკიისა მე-3 (დიდუბისე).
10. სოლოლაკისა.
11. ჩუღურეთისა.
12. წყნეთის დედათა სკოლა.

VI ჯგუფი.

მიხეილის რკინის გზის სასწავლებლის ორკესტრით.

1. მიხეილის სახელობის რკინის გზის სასწავლებელი·
2. სათავად-აზნაურო სკოლა.
3 სომეხთა სასულიერო სემინარია.
4. მელიქ ბეგლიაროვის სკოლა.
5. ქ-ნის ყურდანოვის სკოლა.
6. ბ-ნის ორბელიანცისა და სხვა კერძო სკოლები.

VII ჯგუფი. სამრევლო სკოლები.

VIII ჯგუფი. სავაჟო გიმნაზიები.

1-ლი, მე-2 და მე-3 თავ-თავისის ორკესტრით.

IX ჯგუფი.

1. რეალური სასწავლებელი თავისის ორკესტრით.
2. საოსტატო ინსტიტუტი თავისის ორკესტრით.
3. საპალოსნო სკოლა.

X ჯგუფი.

საქალაქო სასწავლებლები.

მე-XI ჯგუფი.

ამქრები ბაირაღებითა და ზურნით.

მთელი ეს ცერემონია გათავდა ნაშუადღევის სამ საათზედ.

*** **სამეგრელო.** საკუთარი რამე-რუმე. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „სიბერემდის სიქაჩლეს მოელოდე“-ო, სწორედ ამ დიდებულს ანდაზას გვაგონებს წრევანდელი გამრჯელობა სამეგრელოს ჭკვიდრთა. ვინ მოიფიქრებდა და ან ვის მოსდიოდა აზრად, რომ აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება იმ წერტილემდი წაიწევდა წინ, როგორც წელს არის მთელს სამეგრელოში. მაგრამ ყოველივე ესე შარშანდელმა აბრეშუმის პარკის ფასის აწევამ გამოიწვია, ვინ გინდა, რომ წელს აბრეშუმის ჭიის ლოლიაობაში არ იყოს: თავადი, აზნაური, გლეხი, მღვდელი თუ ერი, დიდი თუ პატარა, ერთის სიტყვით, კალმით აუწერელს ამბავს ვხედავთ, რომლის ხილვით გული გევსებათ, მათის მხნე-გამრჯელობით, ვისაც კი მათი ეკონომიური წარმატება ასე თუ ისე ენატრება ესიამოვნება, ყოველი ოჯახი, დიდიდან პატარამდე, დღისით თუ ღამით, დიდს ფაცა-ფუცში და გამრჯელობაში არიან მიცემულნი. მაგრამ მაიდა სამწუხაროდ, საქმე ის არის, რომ ზოგიერთებს ბჟოლის ხე იმდენი არ ჰქონია, რამდენიც მას აბრეშუმის თესლი აელო, რის გამოც გასჭირდა ძალზედ აბრეშუმის ჭიის გამოკვება. თუთის ხესაც წელს ფასი დაედო, ასე რომ თითო პატარა ძირი თუთის ხისა 50—80 კაპ. და ხან მეტიდ ისყიდება. უფრო გასჭირდა ბჟოლის ფოთოლი სენაკის მაზრაში, რადგანაც ზოგიერთ ოჯახში სიხარბით ორი-სამი კოლოფი დაეჯინათ. დღეს 10—20 ვერსის მიდიან ფურცლის სასყიდლად, მაგრამ შოვნაც არ არის. მიუვალს უსიერს ტყეში თუ სადმე ვინმეს ეგულებოდა ბჟოლის ხე, როგორც თაფლს ფუტკარი ისე დაესიენ. დაბურულს ტყეში ერთი სიმღერა კისკისი გააქვთ, თითქო შამილის შემოსევას მოაგონებს კაცს საქართველოში. ბევრმა შუა დროს გაუშვა აბრეშუმის ჭია, რადგანაც ფოთოლი ვერც ფულად და ვერც ისე უშოვნია „რადგან თუთის ფოთოლი ვერ ვიშოვნეთ, კაი მაგას ქალებო! ბჟოლის ქერქი მაინც ვაჭამოთ ჩვენს ყაჭსა“, სიცილ-მწუხარების კილოთ გაიძახიან ქალები“. აი რა ზომამდინ გასჭირდა წელს აბრეშუმის ჭიის გამოკვება! საზოგადოდ წელს, გვარიანზე უკეთესს მოსავალს მოელიან აბრეშუმისას, ვისაც სალი ფირმის თესლი შეხვდა. მაგრამ როგორც ხმები ისმის, შარშანდელზე ნაკლები მაზანდა ექნება წელს აბრეშუმის პარკსაო. სამწუხარო იქნება ეს ამბავი, თუ ეს მითქმა-მოთქმა გამართლდა. ამ ხმებს ჩარჩებიავრცელებენ ხალხში...

— **ჭარნახულის ხვნა-თესვა.** თითქმის მაისის 8-მდე შეჩერდა ხვნა-თესვა, რადგანაც დიდის ხნის უწვიმარი იყო. კვლავ ამ დროს მიწურული იყო ხვნა-თესვა ყანებისა, მაგრამ ხანგრძლივმა დიდმა გვალვებმა დიდად ხელი შეუშალა მხვნელ-მთესველთ დროზედ ყანის დათესვაზედ. ეხლა აქეთ დიდი ჭაპანწყვეტა და გაცხარებული ყანების მუშაობაა დაწყებული...

— **ხეხილთა მეტ-ნაკლებლობა.** ადგილ-ადგილ წელს ხეხილებს მეტ-ნაკლები ასხია მაგ. ვაშლი მსხალი და სხვა ადგილ-ადგილ გვარიანად ასხია, ხოლო ზოგან სულ არა მიუხედავად ამისა, ღვინით ადესის ვაზს ბლომად ასხია წელს, თუ ღმერთმა ბოლომდი აჩუქა კაცს უკლებლივ, მაგრამ ვინ იცის აღმოსავლეთის ქარს რა ხუსტური მოუვა, რომელიც დიუძინებელი მტერია ყოველ გვარის სამეგრელოს მოსავლისა. იქნება შარშანდელმა ხახა მშრალმა ადესის წვენით ჩაიტკბარუნოს წელს პირი... 15 მაისიდან დიდი სიცხეები დაიჭირა. მხვნელ-მთესველი დიდს საგონებელში არიან ჩავარდნილი, ვაი თუ ისევ გაგვაგვალოს მიწაო..

— **ავადმყოფობა.** საოცარი კია წრევანდელი ადამიანის ხშირი სიკვდილი. მიზეზი ამისა, რასაკვირველია, სხვა და სხვა მოარული ავადმყოფობაა, რომელიც ადამიანს ასალმებს საიქიოსაკენ. წელს რალაც უბედურებაა,, როგორც პანტა ისე სცვივა ადამიანი.

— **ტირილის შედეგი.** როგორც სხვაგან, სამეგრელოში წესად შემოღებულია ძველთაგანვე, რო[…] თუ ვინმე მოკვდა, ყოვლის მიზ[…] ზის მიუხედავად, მიცვალებული[…] ჭირისუფლებმა უნდა იტირ[…] იგი. შეძლებული თუ შეუძლ[…] მდიდარი თუ ღარიბ-ღატაკი მ[…] შინათვე ტირილის სამზადს ეძლე[…] რის გამოც მთელს სოფელს ა[…] ტიეზბენ უბედურ დღისათვი[…] ზოგიერთი მიცვალებულის მონ[…] თესავე დიდი ზარ-ზეიმით მოდ[…] მოჰყავს 30—100 მოზარე კა[…] თუ ქალი; პირველიც და მეორე[…] დიცს ხარჯვას ეძლევა. ამ გვარ[…] მიმდინარეობს სამეგრელოში მი[…] ვალებულის დამარხვა, სადაც ე[…] ლა ხალხი სიღარიბე სიღატაკეშ[…] ჩავარდნილი, მაგრამ მაინც ვე[…] იქმნა და ვერა, საშველი არ მი[…] ცა ამ ხალხის გამღატაკებელ ჩვე[…] ლებას, რამდენიმე საპატიო პირე[…] მა კიდეც მოინდომეს ამის მო[…] პობა, მაგრამ მათი სიტყვები და[…] ჩა „ხმად მღაღადებლისად უდ[…] ნოსა შინა“. ნეტავ, მოგესწრო[…] ამ ჩვეულების მოსპობას?..

ტელეფონ[…]

*** **ს. ზანა** (სამეგრელო) მა[…] ლების გადამდები ავადმყოფობ[…] საკვირველია ღმერთმანი, რომ[…] სოფელს აღარ აშორდა სხვა-დ[…] სხვა ავადმყოფობა. აქამდის ა[…] ადამიანები იხოცებოდნენ, ახ[…] კი, ადამიანების ნაცვლად, ძაღლ[…] გაუჩნდა რაღაცა სენი და მუ[…] ავლებს. თითქმის იმისთანა ოჯ[…] ხი არ არის ამ სოფელში, საი[…] თითო-ოროლა ძაღლი არ იყ[…] ძაღლი რომ ავათ გახდება, ა[…] ფერს არ სჭამს, სუსტდება, ე[…] ადგილას წევს და ადგომა ა[…] შეუძლია, ბარბაცობს აქეთ-იქ[…] ინძრევა და წაიქცევა ხოლმე. […] ავადმყოფობისგან ზოგი კვდება[…] ზოგი კი რჩება, მაგრამ ავადმ[…] ფობა მაინც გასტანს 15 — 30 დღ[…] დის. ნურავინ გაიკვირ[…] ძაღლების ავადმყოფობაზედ წე[…] მით უმეტეს, რომ ჩვენში კა[…] ძაღლების გარდა უბრალო ძაღ[…] ბის ყოლა არ იციან. თით[…] კარგს ძაღლებში შინაურ […] რუტყვს, ცხენს თუ ხარს აძლე[…] ე. ი. ცხენს აძლევენ და კ[…] ძაღლებს შოულობენ ღამის […] დების საწინააღმდეგოდ და […] პატივსაც აძლევენ კარგს ძაღლ[…] ამასთანავე წრეულს ხშირი შ[…] ნა ძაღლების, თუ სხვა რამ […] ნაური საქონლის ცოფით ა[…] მყოფობა, ბევრი გაცოფიან[…] დაიხოცა და ამით ბევრი ზა[…] მიეცა სოფელს, მაგრამ ღმე[…] უშველოს ცოფიანთა მეწამლე[…] რასიმე ცხვიტარიას, რომელ[…] ბევრი საქონელი გადაარჩინ[…] სენს.

გურულ-მეგ[…]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ა. ს. პუშკინი

(მოკლე ბიოგრაფია *)

...თელი რუსეთი დღესასწაულობს ...ვამდე თვისის შესანიშნავის, გე-...ასის პოეტის ა. ს. პუშკინის ...ს წლის დაბადების დღეს, დღე-...წაულობს დიდის ამბითა და დი-...ა გამოჩინებითა.

...სეთის სალიტერატურო დღესას-...ულს, ასეთს პატივისცემას დი-...ე ნიჭიერის მწერლის ხსოვნი-... ყველა მოვალეა, ეროვნობის ...ურჩევლად, თანაგრძნობით მოე-...ოს და მონაწილეობა მიიღოს ...ელის რუსეთის საერთო ალტა-...ბაში, იმიტომ რომ ასეთი ნი-...ერი კაცი, გენიოსობის ბეჭდით ...ღბეჭდილი და დიდის მადლით ...ებული, როგორიც იყო პუშკი-... არა მარტო თავის სამშობლოს ...უთვნის, არამედ მთელ ქვეყნიე-...ბას, მთელს განათლებულს კა-...ობრიობას.

...ჩვენ, ქართველობაც, რასაკვირ...ია, მოვალენი ვართ არ ჩამო-...ვეთ რუსეთის სხვა ერთა ტომ-... და ჩავერთოთ იმ დღეობაში, ...მელიც, უპირატეს ყოვლისა, ...ის დღეობა ქეშმარიტების გა-...ჯვებისა, სწავლა-განათლების ...ნაგრძნობისა, კაცთმოყვარეობისს ...ქმობათა კეთილმყოფელისა; ერთ-...ეულით, დღეობა ადამიანობისა, ...კეთის კაცობისა, მწერლობის ...ევამაღლებისა, პოეზიის მაღ-...ანობისა.

...ამ აზრით სცნა საჭიროდ ჩვენ-... წერა-კითხვის გამავრცელებელ-... საზოგადოებამ შეკრება და გა-...ცემა დღევანდელის დღისათვის ...თი პატარა წიგნად თითქმის ყო-...ლისავე, რაც კი ქართულად ...თარგმნიათ რუსეთის დიდებულის ...ეტის ნაწერებისა ამ სამოც-...თხმოცის წლის განმავლობაში ...ენს ძველსა და ახალ მწერლებსა. ...საზოგადოებამვე საჭიროდ დაი-...ხა წიგნს დაჰრთოდა ალექსანდრე ... სერგეის ძის პუშკინის მოკლე ...ოგრაფია.

I

... ა. ს. პუშკინი დაიბადა მოს-...ოვში 1799 წელს, მაისის 26, ...ედ ამაღლება დღესა. მამა მისი ...რგეი და მისი ძმა ვასილი ძვე-...ის-ძველი აზნაურშვილები იყვ-...ენ, ბატონ-კაცურად აღზრდილ-... და დიდი მოყვარულნი მწერ-...ობისა და საზოგადოდ სიტყვიე-...ებისა. იმათი სახლის კარი ღია ...ყო ყოველგვარ გამოჩენილ კაც-...ათვის. იქ იკრიბებოდნენ მაშინ-...ელნი ცნობილნი მწერალნი, არ-...ისტნი, მემუსიკენი და მხატვარ-.... პუშკინის მამაცა და ბიძაც უფრო სამეფო ქალაქში სცხოვ-რობდნენ, ვიდრე სოფლად, თუმ-ცა არა ერთი და ორი საკუთარი სოფელი ჰქონდათ მამა-პაპათაგან დარჩენილი.

ალექსანდრე ყმაწვილობაში არა-ფრით განირჩეოდა ჩვეულებრივის ბავშვებისაგან. პირიქით, ბევრგვა-რი ნაკლულევანებაცა ჰქონდა: მე-ტის-მეტი დუღუღა, ზარმაცი და მოუხეშავი იყო, ისე რომ დედმა-მას ეჭვიც კი ჰქონდა, გამოვა რამ ამისაგან, ან გამოიჩენს იმდენს ნიჭს, რომ სწავლა შეიძლოსო. ბევრსა სცდილობდნენ მშობელნი მის მოხეშვას, მის გამოკეთებას, მაგრამ ამაოდ. იქამდე გაუჭირებდ-ნენ ხოლმე საქმეს ამ გვარის ვარ-ჯიშობითა და ზედმიქმედებით, რომ პატარა ბავშვი იძულებული იყო დიდი-დედასთან გაქცეულიყო ხოლმე და იქ ეძებნა მოსვენება.

ასე იყო ბავშვი 7 წლამდე. შვი-დის წლის შემდეგ კი ყმაწვილი სრულიად გამოიცვალა. დაიწყო სიცელქე და გართობა ტოლებში. გამოიჩინა სიმარჯვე, სიცქვიტე და ყოჩაღობა ყველაფერში. მაგრამ დედმამას კიდევ მაინც მალე არ მოუბრუნდა გული იმაზე და დე-დის ცხადად ეტყობოდა, რომ არ-ჩევდა სხვა შვილებში. მაინც შვი-დის წლიდანვე შეუდგნენ მის აღ-ზრდის საქმეს და, როგორც მაშინ ჩვეულება იყო რუსეთის მებატო-ნეთა და მაღალ საზოგადოების კაცთა შორის, მიუჩინეს უცხო ტომის მასწავლებელნი და აღმზრ-დელნი. ახლგაზდა პუშკინმა დაი-წყო სწავლა, მაგრამ ბეჯითობა საიმისოდ არ ეტყობოდა, უფრო მათემატიკის სწავლაში ზარმაცობ-და. ამ საგნის სიძულვილი თავი-დან ვერ მოიშორა შემდეგაც სასწავლებელში. ფრანგული ენა კი დედა-ენასავით შეისწავლა და პირველ ხანში, ესე 12 წლისა რომ იყო, ლექსებსაც სწერდა ფრან-გულად. ყველაზე მეტი გავლენა პირველ მასწავლებელთ და აღმზრ-დელთა შორის ჰქონდა პუშკინზე მის გამდელს, არინა როდიონის ასულს, რომლის ხელშიაც დაიბა-და და აღიზარდა პუშკინი და რომე-ლიც მოგვაგონებს ერთგულ ძვე-ლებურ ყმას, ბატონის ოჯახისთ-ვის თავდადებულსა. ბოლოს პოეტ-მა ბევრჯელ გაიხსენა თავისი საყ-ვარელი გამდელი და არა ერთსა და ორს ლექსში შეაქო და დაუ-ვიწყარ-ჰყო მისი სახელი.

მოვიდა პატარა პუშკინის სას-წავლებელში მიცემის დროც და მშობლებმა წაიყვანეს თავიანთი 12 წლის შვილი პეტერბურგს. მათ ბედზე სწორედ ამ დროს დაარსდა ცარსკოე-სელოში ლიცეი, რომ-ლის დირექტორად დანიშნულ იქ და პუშკინის მამის მეგობარი.

იმის რჩევით ყმაწვილს დედმამა-მაც იქ დააჭერინა ეგზამენი. ლი-ცეიში პუშკინმა დაჰყო 1817 წლამ-დე. ხალისი წიგნის კითხვისა წი-ნადაც დიდი ჰქონდა, ასე რომ ერთი წიგნი არ გადარჩენია მამის ბიბლიოთეკაში წაუკითხავი. ახლა ხომ ლიცეიში უფრო მეტის გულ-მოდგინეობით მიეცა წიგნების კი-თხვას და ამ მხრივ პუშკინი ყველა თავისს ამხანაგს სჯობდა, ყველაზე მეტად ნაკითხი იყო. ლიცეიმ, თუმცა ბევრი ნაკლულევანება ჰქონ-და, მაინც ბევრი რამ შესძინა ახალგაზდა პუშკინს. მის მეგობრებთ შორის შესდგა ცალკე სალიტერა-რატურო წრე, რომელმაც დააარსა ხელთნაწერი ჟურნალი. პუშკინი პირველი თანამშრომელი იყო ამ ჟურნალისა და საზოგადოდ დიდს მონაწილეობას იღებდა ამ სალი-ტერატურო ამხანაგობაში. შემდეგ-ში ზოგიერთი ამ ამხანაგობის წე-ვრნი ნამდვილი მწერალი, სახე-ლოვანი პოეტი და პუბლიცისტი შეიქმნა.

პუშკინი ჯერ ისევ ლიცეიში იყო, რომ სახელი გაითქვა თავი-სი ლექსებით. ერთ ეგზამენზე ლი-ცეიში დაესწრო თვით მხცოვანი პოეტი დერჟავინი, დამწერი ოდი-სა „ღმერთი“. პუშკინმა წაიკითხა თავისი ლექსი „Воспоминанія въ Царскомъ Селѣ“. მოხუცი დერ-ჟავინი აღტაცებაში მოვიდა, უნ-დოდა გადაეხვევნოდა ყმაწვილს, მაგრამ პუშკინს შერცხვა, გაიქცა და სადღაც დაიმალა.

პუშკინის ნიჭის ხმა გავარდა სა-ზოგადოებაში; იმის შესახებ ლა-პარაკი ჩამოვარდა თვით საერო განათლების მინისტრის დიდს სა-დილზედაც კი, სადაც პოეტის მა-მაც იქ იყო. ამ გარემოებამ მო-ულბო გული დედ-მამასა და შეა-რიგა კიდეც ერთმანეთს შვილი და მშობელნი.

პუშკინის ლექსები ახლა იბეჭ-დებოდა ჟურნალებშიაც. მაშინ-დელმა საუკეთესო მწერლებმა მი-აქციეს ყურადღება ახალგაზდა ნი-ჭიერს ჭაბუკს, გაიცნეს, დაიახლო-ვეს, გაამხნევეს და დიდადაც შე-იყვარეს. სიკვდილამდე აღარ დაჰ-კარგვია სიყვარული პუშკინს ყა-რამზინისა, რუსეთის გამოჩენილის ისტორიკოსისა, ჟუკოვსკისა, ამ პირველ ხარისხოვანის რუსეთის პოეტისა, ბატიუშკოვისა. უფრო ჟუკოვსკი იყო მეტად აღტაცებუ-ლი მისის პოეზიით.

ლიცეიშივე პუშკინმა დასწერა 120 ლექსამდე, თუმცა კი ყველას არა ჰბეჭდავდა. აქედან მხოლოდ 23 დაჰბეჭდა თავის ლექსების პირ-ველ კრებულში. იქვე დაიწყო წე-რა პირველის თვისის ზღაპრულის პოემისა „Русланъ и Людмила“.

გრ. ყიფშიძე

(შემდეგი იქნება)

*) «წერა-კითხ. გამავრცელებელის სა-...ზოგადოების“ გამოცემიდან.

## ბრძნული თქმულება

(პუშკინისა)

როგორც ქარს და არწივს, ისეც გულს ქალისას კანონები არა აქვს.

* *

ზეგარდმოთ-შთაგონება არ იყიდება, შესაძლოა მარტო ხელთნაწერი გაიყიდოს.

* *

ეხლანდელ დროში ვირიც კი ირზი-დება.

* *

ყოველთვის აგრე იქნება და აგრეც ყოფილა ძველის-ძველადანვე ესეა ეს წუთი-სოფელი: მსწავლული ბევრია, ჭკუიანი ცოტა, ნაცნობი მრავალი და მეგობარი კი არც ერთი.

* *

რა არის სახელი და დიდება? ჩივ-ჩივი მკითხველისა, დევნა-გინება სულ-მდაბლისა, თუ აღტაცება სულელისა?

* *

ყოველივე ჩემია, სთქვა ოქრომ; ყო-ველივე ჩემია სთქვა ხმალმა. ყოველსავე ვიყიდი, სთქვა ოქრომ; ყოველსავე ხელთ ვიგდებ, სთქვა ხმალმა.

* *

შესაძლოა კაცი საქმოსანიც იყოს და ფრჩხილების სილამაზისთვისაც ჰფიქ-რობდეს.

* *

ზეგარდმო-შთაგონებას ვერ მოიწვევ: თვითონ იგი უნდა ეწვიოს პოეტსა.

## ყურმოკრული საუბარი

განსვენებული ივანე კერესელიძე „ცისკრის“ რედაქტორი, 1850 წლებ-ში ლექსებსა სწერდა და ხშირად იტ-ყოდა, ქართველების პუშკინი ვარო.

ტფილისში სემინარიის პირდაპირ ბაღში დასადგმელ პუშკინის ძეგლის-თვის ფულს რომ აგროვებდნენ, ერთს ხნიერ ქართველს სთხოვეს ხელის მო-წერა.

— პუშკინი ვინ იყო?

— რუსულ ლექსებსა სწერდაო, უპა-სუხეს.

— ჰო... რუსების კერესელიძე ყო-ფილაო! მისცა 3 მანეთი.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 მაისი.

**მადრიდი.** მთავრობამ განაცხა-და, რომ კოროლინისა, პალაოს-ისა და მარიანის კუნძულები და-სთმო 25 მილ. პეზეტად. ისპანიას რჩება სამი ნახშირის საწყობი: თითოეულს კუნძულზედ თითო, რომელიც გერმანიამ უნდა დაიც-ვას მშვიდობიანობისა და ომის დროს.

**პარიზი.** საკასაციო პალატამ დაადგინა: გადასინჯულ იქნას დრ-ეიფუსის საქმე და გადაეცეს დრ-ეიფუსი სამხედრო სასამართლოს რენაში.

**კრეზო.** ყველა მუშები დღეს მუშაობას დაუბრუნდნენ უწესოების მოუხდენლად.

**ვენა.** იოჰ.ნ შტრაუსი გარდაიცვალა.

**კონსტანტინეპოლი.** ოსმალეთის დელეგატებს სამშვიდობო კონფერენციაზედ დაევალათ აღნიშნონ, რომ სახელმწიფოს სიდიდე, ვრცელი, ზოგან ღია საზღვრები, უსწორ-მასწორო ნაპირები, მცხოვრებთა სხვა-და-სხვაობა და საზღვრების დაუცველობა ზოგიერთს შორეულს პროვინციებში ნებას არ აძლევენ ოსმალეთს შეამციროს ჯარი, ანუ უარ ჰყოს თვის მიერ ამ რამდენისამე წლის წინად შემუშავებული, მაგრამ ჯერ კიდევ არა სრულიად შესრულებული გეგმა სამხედრო საქმეთა მოწყობისა. ამიტომ ოსმალეთისათვის არ შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს მცხოვრებთა რაოდენობაზედ ანუ სხვა გვარს მოსაზრებაზედ დამყარებულს რაოდენობას ჯარისას მშვიდობიანობისა და ომის დროს. ოსმალეთს ასულდგმულებს საუკეთესო სამშვიდობო განზრახვები, რადგან მტკიცე მშვიდობიანობა ყველაზედ უფრო შეესაბამება და ხელს შეუწყობს მისს კულტურულს განვითარებას და ნივთიერს ინტერესებს,—მაგრამ ის იძულებულია თავდაპირველად იზრუნოს თავი დაიცვას შიგნით და გარედ, ყოველთვის იყოლიოს საკმარისი ჯარი, რომლის რაოდენობა ვერ განისაზღვრება სხვა სახელმწიფოებთან შედარებით.

23 მაისი.

**პარიზი.** საკასაციო პალატის განაჩენს საზოგადოება მიეგება ამ სიტყვებით: „გაუმარჯოს მართლმსაჯულებას, გაუმარჯოს კანონს!“ და დაიშალა წყნარად. სასამართლოს გარედ ყვირილი არ დაუწყიათ.

**პარიზი.** სასამართლომ გააუქმა და მოსპო 1894 წ. 22 დეკემბრის განაჩენი, რომელიც დაადგინა ალფერდ დრეიფუსის წინააღმდეგ პარიზის სამხედრო ოლქის მმართველმა სამხედრო სასამართლომ, და ვადასცა ბრალდებული რენის სამხედრო სასამართლოს, რომელიც დაინიშნა საგანგებოდ შემდეგის საგნის განსახილველად: დამნაშავეა თუ არა დრეიფუსი, რომ 1894 წ. მას კავშირი ჰქონდა უცხო სახელმწიფოსთან ან მის აგენტებთან, რათა აღეძრა ეს სახელმწიფო საფრანგეთთან სამტროდ და საომრად, ან მიეცა მისთვის საშვალება ასეთის საქმის ჩასადენად.

**პარიზი.** „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, რომ დიუპუიმ ხვალ დილისათვის მოიწვია სასჯულო, სამხედრო, საზღვაო და საახალშენო მინისტრები იმ საშუალებათა შესახებ მოსალაპარაკებლად, რომლების მიღებაც საჭიროა დრეიფუსის საფრანგეთში დაბრუნების გამო.

**ჰააგა.** დღეს მოხდა სარედაქციო კომისიის საყურადღებო სხდომა შუამდგომლობის შესახებ. რუსეთის პროექტის მე 7—12 მუხლები განხილულ იქმნა თითქმის შეუცვლელად. ეს მუხლები შეეხება საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს. ამერიკელთ არა ჰსურთ მიიღონ მე 10 მუხლი, რომლის ძალით ფულისა და არხების შესახები საქმეები უთუოდ სამედიატორო სასამართლომ უნდა განიხილოს. ოთხშაბათს კომისია შეუდგება მე 13 მუხლის განხილვას, რომლის მიხედვით უნდა დაარსებულ იქნას სამედიატორო ტრიბუნალი. რუსეთისა, ინგლისისა და ამერიკის პროექტები შეერთებულ იქნება ერთ ახალ პროექტად. აშკარა ჰხდება, რომ სამუდამო სამედიატორო სასამართლოს დაარსება საერთო სურვილს შეადგენს.

24 მაისი

**პარიზი.** დღეს დიუპუიმ, იუსტიციის, სამხედრო, საზღვაოდა ახალშენთა მინასტრებმა დაადგინეს, გემი „Jtax“.ის გაგზავნილ იქმნას ეხლავე დრეიფუსის მოსაყვანად. დრეიფუსი მოყვანილ უნდა იქმნეს 14 ივნისისათვის.

**პეტერბურგი.** მთავრობის უწყებაში დაბეჭდილია: 20 თებერვალს ხელმწიფე იმპერატორმა უბრძანა გენერალ-ადიუტანტს ვანოვსკის გამოიძიოს 8 თებერვალს პეტერბურგის უნივერსიტეტსა და შემდეგ სხვა სასწავლებლებში მომხდარ არეულობის მიზეზნი და გარემოებანი. გენერალ-ადიუტანტის უქვეშევრდომლეს მოხსენების განხილვის დროს ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და თავის გაკვირვება და უკმაყოფილება განაცხადა იმის გამო, რომ შესაძლებელი იყო ასეთის უწესოების მოხდენა იმპერიის ყველა უმაღლეს სასწავლებელში და ამ უწესოების განგრძობა მთელის სამის თვის განმავლობაში. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ბრძანა: 1, გამოეცხადოს საყვედური უმაღლეს სასწავლებლების მთავრობასა და მსწავლებელთ იმის გამო, რომ საკმაო ავტორიტეტი ვერ მოიპოვეს მოსწავლეთა შორის, და საჭირო გავლენა ვერ იქონიეს მათზედ და უწესოების დაწყებისავე ვერ განუმარტეს მოსწავლე ახალთაობას, მისი უფლებანი და საზღვრები ამ უფლებათა.

2. პეტერბურგის პოლიციის მოხელეთ, რომელნიც აღნიშნულ არიან გენერალ-ადიუტანტის ვანოვსკის გამოძიებაში, უნდა გამოეცხადოს საყვედური იმის გამო, რომ მათ წინდაწინვე შესაფერი განკარგულება ვერ მოახდინეს 8 თებერვლისათვის დასაცველად.

3. რა შეცდომაც უნდა მოსვლოდა სასწავლებლების მთავრობას, მაინც ეს გარემოება ბოდიშს არა ხდის სტუდენტთ და ყურის მგდებელთ, რომელთაც დაივიწყეს მორჩილება და წეს-რიგის დაცვა. არავინ მათგანი არ უნდა სთვლიდეს თავს თავისუფალს იმ შრომისა და სწავლა ცოდნის შეძენის ვალდებულებისაგან, რომელიც საჭიროა სამშობლოსა და საზოგადოების სამსახურისათვის. ისინი პირველნი დამცველნი უნდა იყვნენ იმ წეს-რიგისა, ურომლისოდაც შეუძლებელია როგორც სწავლა, ისევე აღზრდა ამ წესიერების დაცვასთან მჭიდროდ დაკავშირებულია პატიოსნება და სახელი სასწავლებლისა და თვითეულ იმის წევრისა. ამიტომ მოსწავლენი უმაღლესს სასწავლებლისანი, ვალდებულნი არიან, თავიანთვე სასარგებლოდ, ეხლავე დაემორჩილნენ იმ წესს, რომელიც მათთვის დადებულია და დაუბრუნდნენ სასწავლებლებს სწავლისა და შრომის განსაგრძობად.

მისი უდიდებულესობა დარწმუნებულია, რომ ახალგაზრდათა მშობელნი და უფროსნი ვალდებულად ჩასთვლიან თავს, განუმარტონ ახალგაზრდებს რა საზარალო, როგორც მათთვის, აგრეთვე საზოგადოებრივ [illegible] მშვიდობიანობისათვის, მოუფიქრებელი გატაცება და არეულობა.

საუბ[illegible]ოდ არეულობის დროს ადგილ[illegible] საზოგადოებამ არამც [illegible] მოხელეთ ძხარი [illegible]ოქირო და წესიერების [illegible] დაეხმარა, არამედ ბევრს მ[illegible]ვში თვით უწყობდა ხელს უწ[illegible]ოებას, და აქეზებდა ახალგაზრდობას.

ასეთის უწესოების მოთმენა შემდეგში შეუძლებელია. იგი სასტიკას ზომებით იქმნება ყოველთვის მოსპობილი.

რაც შეეხება იმ სტუდენტებს და ყურის მგდებლებს, რომელთაც მხოლოდ მონაწილეობა მიიღეს არეულობაში და ისეთ საქმეში კი არ ყოფილან შემჩნეული, რომელსაც პოლიტიკური მიზანი აქვს, მათი დასჯა, რამდენადაც კი შეიძლება შეღავათით, დამოკიდებული იქნება იმ მინისტრებისაგან, რომელთაც სასწავლებლები ექვემდებარებიან.

**მოსკოვი.** სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე მოროზოვის ქარხანაში მომხდარ უწესოების შესახებ. გაამართლა 37 კაცი. დანარჩენთ მიუსაჯა: 11—2 უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ტუსაღთა განყოფილებაში დაპატიმრება; 41—1 საპყრობილეში დაპატიმრება 1½ თვიდგან 1 წლამდე.

---


# განცხადებანი

!!მიაქციეთ ყურადღება!!

## ჩინეთის მაღაზია

დ. ფ. დემენტიევისა

გოლოვინის პროსპექტი, ზუბალაშვილის სახლი სობრანიეს გვერდზე.

იმყოფება ჩაი პირველი მოკრებისა 1898 წლისა

მშვენიერი ყნოსვისა და სასიამოვნო გემოსი

ჩაი და ყავა იყიდება წვრილად და პარტიობით

ყოველს მყიდველს ჩვენის ჩაისას დაეთმობა მანათზე აბაზი და საჩუქრად მიიღებს ჩინეთის, იაპონიის და სხვა საჭირო და საოჯახო ნივთს.

ვინც 12 ან მეტ გირვანქა ჩაის იყიდის ჩვენგან იმას

საჩუქრად მიეცემა ჩაის სერვიზი

იქვე მრავალგვარი ჩინეთის და იაპონეთის ნივთებია საჩუქრებისა და ნობათებისათვის

მაღაზიები იმყოფება როსტოვ-დონზე, კიევში, ოდესაში, [illegible], ნიკოლაევში, ეკატერინოდარში, ხარკოვში, ეკატერინოსლავში პიატიგორსკში და ტფილისში

!!მიაქციეთ ყურადღება!!

(100—29)